



2023
წელი

შპს გურამ თავართქილაძის
სახელობის
თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტი

გამოცდების ჩატარების წესი

მუხლი 1 რეგულირების სფერო

- 1.წინამდებარე წესი ადგენს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) გამოცდების ჩატარების წესს და მისი მიზანია საგამოცდო პროცესის ობიექტურობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
2. სასწავლო უნივერსიტეტის გამოცდების ჩატარების წესი შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და უნივერსიტეტში მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტების საფუძველზე;
3. წინამდებარე წესის მოქმედება ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტში ყველა საფეხურზე ჩასატარებულ შუალედურ, დასკვნით, დამატებით გამოცდაზე, ასევე ენის კომპეტენციის შესამოწმებელ გამოცდაზე და სამაგისტრო პროგრამაზე მისაღებ გამოცდაზე. წინამდებარე წესის მოქმედება არ ვრცელდება სასწავლო კურსით გათვალისწინებულ ზეპირ გამოცდაზე, ან/და ნებისმიერი ისეთი ტიპის გამოცდაზე რომლის ჩატარებისთვის სასწავლო კურსის სილაბუსიდან გამომდინარე საჭიროა ლექტორის უშუალოდ ჩართულობა;
4. თითოეული სასწავლო კურსის გამოცდის ფორმა და შინაარსი, ჩატარების ფორმატი დეტალურად გაწერილია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

მუხლი 2 საგამოცდო ცენტრის ფუნქციები

- 1.საგამოცდო ცენტრი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული;
2. საგამოცდო ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, საგამოცდო ცენტრში ასევე შესაძლოა დასაქმებული იყვნენ ცალკეული პირები უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებულის შესაბამისად;
3. საგამოცდო ცენტრის ფუნქციების განეკუთვნება:
 - ა. საგამოცდო პროცესზე ზედახმედველობა, პროცესში ფარგლებში ხარვეზების იდენტიფიცირება, აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრისთვის შესაბამისი რეკომენდაციების ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;
 - ბ. სასწავლო კურსების ლექტორებისთვის, სტუდენტებისთვის და საგამოცდო პროცესში ჩართული სხვა პირებისთვის გამოცდებთან დაკავშირებით ინფორმაციის დროულად მიწოდება;
 - გ. საგამოცდო მასალების და საკითხების გამოცდებისთვის მომზადება, გამოცდამდე 3 სამუშაო დღით ადრე;
 - დ. საგამოცდო საკითხების შესაბამისობის შემოწმება სილაბუსით ან/და სხვა შიდა სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ საგამოცდო ფორმატთან;
 - ე. შესრულებული საგამოცდო ნაშრომების ლექტორებისათვის გადაცემა არა უგვიანეს გამოცდის დასრულებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში;
 - ვ. უნივერსიტეტის დებულებით ან/და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 3 საგამოცდო პროცესი

1. გამოცდების ჩატარების თარიღს და დროს განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით, აკადემიური კალენდარის საფუძველზე. საგამოცდო განრიგის საჯაროობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე;
2. დასკვნითი/დამატებითი და შუალედური გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 3 საათი, გამოცდაზე დასწრების უფლება აქვს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს, პროგრამის ხელმძღვანელს, რექტორის სპეციალური ნებართვის საფუძველზე გამოცდაზე დასწრების უფლება შესაძლოა მიენიჭოს ერთჯერადად ნებისმიერ სხვა პირს.

მუხლი 4 გამოცდაზე სტუდენტის ქცევის წესები

1. საგამოცდო დარბაზში სტუდენტის შესვლის შემდეგ, სტუდენტს მიეცემა საგამოცდო საკითხი. დამკვირვებელი სტუდენტს წინასწარ გააცნობს გამოცდაზე ქცევის წესებს. საგამოცდო დრო განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით და აითვლება ბოლო საგამოცდო საკითხის/მასალის დარიგების მომენტიდან. დრო რომლის მანძილზეც დამკვირვებელი სტუდენტს განუმარტავს გამოცდაზე ქცევის წესს არ ჩაითვლება საგამოცდო დროში;
2. სტუდენტი ვალდებულია გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე სულ მცირე 5 წუთით ადრე. თუ სტუდენტი გამოცდაზე დააგვიანებს არაუმეტეს 15 წუთით ის შესაძლოა გამოცდის სპეციფიკის გათვალისწინებით დაიშვას გამოცდაზე, 15 წუთზე მეტი ხნით სტუდენტის გამოცხადების შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება და შეფასდება 0 ქულით.
3. გამოცდაზე, სტუდენტმა შესაძლოა თან იქონიოს მხოლოდ ლექტორის მიერ დაშვებული/მითითებული ინვენტარი ან/და მასალა - მაგალითად: სახელმძღვანელო, სლაიდები, კალამი, კალკულატორი, ლექსიკონი და ა.შ.
4. გამოცდაზე დასაშვებია წყლის ან სხვა გამაგრილებელი სასმელის შეტანა;
5. მობილური ტელეფონი, ფოტო-ვიდეო კამერა, პლანშეტი ან/და სხვა ელექტრონული მოწყობილობა გამოცდაზე უნდა გამოირთოს. გამოცდის მსვლელობის დროს რაიმე დამხმარე აკრძალული საშუალების სარგებლობის შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია მიიღოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ზომები.
6. გამოცდაზე აკრძალულია:
 - ა. არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადება;
 - ბ. გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის დატოვება, გარდა ჯანმრთელობის ან განსაკუთრებული მიზეზით გამოწვეული მდგომარეობისა. გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის თვითნებურად დატოვების შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდაზე აღარ დაიშვება.
 - გ. გამოცდის პროცესში აკრძალულია საუბარი, ერთმანეთთან გადალაპარაკება, ქესტების გამოყენებით კომუნიკაცია, ხმაური ან სხვა ისეთი ქმედება რომელიც აფერხებს გამოცდის მიმდინარეობას, ასევე სტუდენტის ეთიკის კოდექსით დადგენილი წესების დარღვევა.
 - დ. დაუშვებელია გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან ნებისმიერი დამხმარე ჩანაწერის გამოყენება, სხვა

პირის დახმარება ან/და დახმარების მიღების მცდელობა.

- ე. დაუშვებელია გამოცდის მსვლელობისას სხვა პირთან ურთიერთობა საგამოცდო დარბაზს გარეთ;
 - ვ. დაუშვებელია სტუდენტის მიერ სხვა სტუდენტის ტესტში ან ნაშრომში ჩახედვა ან/და მისი გადაწერა;
 - ზ. დაუშვებელია საგამოცდო დროის დასრულების შემდეგ საგამოცდო ნაწერში რაიმე ჩანაწერის გაკეთება ან/და მუშაობის გაგრძელება;
 - თ. დაუშვებელია საგამოცდო მასალების გადაღება ან/და მისი ნებისმიერი ფორმით გატანა/გავრცელება.
- 7.გამოცდის მსვლელობისას, სტუდენტის მიერ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენის შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან ან მიეცემა შენიშვნა. შენიშვნის მიცემისას, დარღვევის განმეორების შემთხვევაში სტუდენტს განესაზღვრება შეფასება 0 და მოიხსნება გამოცდიდან.
8. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის უპირობო საფუძვლებია:
- ა. სტუდენტი ახდენდა ფიზიკურ ან ფსიქიკურ ზემოქმედებას დამკვირვებელზე;
 - ბ. სტუდენტი არ ემორჩილებოდა დამკვირვებლის სამართლიან მითითებას.
- ასეთ შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და განსაზღვრება შეფასება 0.

მუხლი 5 დამკვირვებელი

- 1.გამოცდის დამკვირვებელი შეიძლება იყოს საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი, ამავე ცენტრის ხელმძღვანელი, შესაბამისი ფაკულტეტის პერსონალი ან/და ხელშეკრულებით მოწვეული სხვა ნებისმიერი პირი;
- 2.დამკვირვებლის უფლებამოსილება:
 - ა. გამოცხადდეს საგამოცდო დარბაზში, გამოცდის დაწყებამდე არა უგვიანეს 40 წუთით ადრე მაინც;
 - ბ. გამოცდის დაწყებამდე სტუდენტს გააცნოს საგამოცდო წესები;
 - გ. დაურიგოს სტუდენტებს საგამოცდო საკითხები/მასალები;
 - დ. ზედახმედველობა გაუწიოს გამოცდების მიმდინარეობას;
 - ე. გამოცდიდან სტუდენტის მოხსნის შემთხვევაში შეადგინოს შესაბამისი ოქმი, მოხსნის ზუსტი მიზეზის მითითებით;
 - ვ. სტუდენტებს პასუხი გასცეს მხოლოდ პროცედურულ, ტექნიკურ საკითხებზე;
 - ზ. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 წუთით ადრე შეახსენოს სტუდენტებს დროის საკითხი;
 - თ. საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე ჩამოართვას სტუდენტებს საგამოცდო საკითხები.
- 3.დამკვირვებელთა რაოდენობას და მათ მიმაგრებას სხვადასხვა გამოცდაზე განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი.

მუხლი 6 გამოცდების შედეგების გასაჩივრება

1. სტუდენტი, რომელიც მიიჩნევს, რომ დაირღვა საგამოცდო პროცედურის წესი, უფლებამოსილია წერილობით მიმართოს იმავე ან მომდევნო დღეს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ვალდებულია პასუხი აცნობოს სტუდენტს 3 დღის ვადაში. თუ ჩაითვლება, რომ სტუდენტის საჩივარი სამართლიანია, ერთი კვირის ვადაში დაინიშნება განმეორებითი გამოცდა.
2. სასწავლო კურსის ლექტორი ვალდებულია გამოცდის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შეიტანოს სტუდენტების საბოლოოდ დაანგარიშებული ქულები ელექტრონულ უწყისში.
3. სტუდენტმა უნდა შეამოწმოს ელექტრონულ უწყისში შეტანილი გამოცდის შეფასებები და შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ დეკანატს.
4. შეფასების არაობიექტურად მიჩნევის შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში, დასაბუთებული და არგუმენტირებული წერილობითი პრეტენზიით მიმართოს ფაკულტეტის დეკანატს. პრეტენზიის მიღებიდან არა უგვიანეს ორი სამუშაო დღის ვადაში, რექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია რომელიც განიხილავს სტუდენტის პრეტენზიას და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების ძალში დატოვების ან/და შეფასების ცვლილების ან/და განმეორებითი გამოცდის დანიშვნის შესახებ;
6. სააპელაციო კომისიის ხელმოწერილი დასკვნა თან დაერთვება სასწავლო კურსის შეფასების უწყისს.

მუხლი 7. საპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენა

1. დაშვებულია საპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის შუალედური/დასკვნითი/დამატებითი აღდგენა.
2. სტუდენტმა, საპატიო მიზეზით გამოტოვებული გამოცდის აღდგენის უფლების მოსაპოვებლად, განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს. დეკანი, სტუდენტთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებას გამოცდის დანიშვნის თარიღის თაობაზე.
3. არასაპატიო მიზეზით გაცდენილი გამოცდის აღდგენა დაუშვებელია.
4. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის საპატიო მიზეზად ჩაითვლება ყველა ის ობიექტური გარემოება, რომელიც დადგა სტუდენტისაგან დამოუკიდებლად და რომელიც შეუძლებელს ხდიდა სტუდენტის გამოცდაზე გამოცხადებას.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

აღნიშნული წესი ძალაში შედის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე და მისი გაუქმება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

